№ 255
შაბათი, 24 ნოემბერი, 1901 წ.

1877–1901

ივერია

№ 255
შაბათი, 24 ნოემბერი, 1901 წ.
რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, № 27.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერილ-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს:

	ან.	კ.		თვე		მან.	კ.
12	10	—		6		6	—
11	9	50		5		5	50
10	8	75		4		4	75
9	8	—		3		3	50
8	7	25		2		2	75
7	6	50		1		1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ბარბარე ვასილის ასული, ნინო სერგეის ასული, ვასილ მიხეილის ძე თამამშევები და კნეინა ეკატერინე მიხეილის ასული ერისთავისა დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცარს გარდაცვალებას.

გიორგ მიხეილ.-ძის თამამშევისას,

22 ნოემბერს, დილის 7 საათზე.

პანაშვიდი ყოველ დღე, დილის 6 საათზე, განსვენებულის სახლში, მნაცაკანის ხიდთან.

განსვენება კვირას, 25 ნოემბერს, დილის 10 საათზე მოღნინის წმ. გიორგის ეკკლესიაში. დაკრძალვა ხოჯივანქის სასაფლაოზე. (1—242—1)

ქართული თეატრი

კვირას, 25 ნოემბერს, 1901 წ.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება:
დაკლებულის ფასებით
ვ. აბაშიძისა და სხვათა მონაწილეობით

პარიქის ღარიბ-ღატაკნი

ელოდრ. 5 მოქ. პროლოგით და ეპილოგით დენიერისა, თარგ. ვ. გუნიას მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელისა, ...ევა, ნებიერიძისა, მდივანი, ბ-ნნი: აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, ...ამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, იმედაშვილი, ურუშაძე, ...ორიანაშვილი და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები დაკლებულია.

...ალერეია 20 კ., პარტერი 50 კ., ლოჟები 3 მ. შეგირდებისათვის კუ...ნები ლოჟებში 60 კ.

მზადდება: ვ. გამყრელიძის საბენეფისოდ ახალი პიესა „შვილის ...ოდოსათვის“. და „მუზმუზელა“ (ტარტიუფი) კ. მესხის მონა...ილეობით.

რეჟისორი ვ. გუნია
(2—უ.—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

...ადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

...ოკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ...ბაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

...ადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნ...ვგბისა და წამლობა ელექტრონით, ...—10 საათ.

ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ...ვშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინა...ან; სამშაბათობით და ხუთშაბათობ...ით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელი... და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბი...ის სნეულებანი. 10—12 საათ.

ექიმი-ქალი ფ. ს. ბაძრაძე ბავ...ვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერ...ებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ი. დ. გეგთაგეგოვი. სიფილისისა, კანისა და სამარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი. —შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 7—8 საათ.

კვირაოგბით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ქართველთა ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში და სახელოსნო სკოლაში იღებენ ყოველგვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას ... საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (мѣтки). ბარონის ქუჩა, № 12.
(20—უ—7)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაოგბით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და სამარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ძარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოოგბით:

ნ. ნ. როსტოვცევი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. დარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ინჟინერი

გიორგი დეკანოზიშვილი

მიიღებს შემდეგ საინჟინერო სამუშაოს: 1) მადნეულობის გამოკვლევა: ნავთისა, ქვა-ნახშირისა, ვერცხლისა, სპილენძისა და სხვა; 2) წყლის გამოყვანას სასმელად და მამულების სარწყავად, 3) ექსპერტიზას სადავო საქმეებში; 4) პლანების გაკეთებას და სხვა საინჟინერო საქმეს.

ნახვა შეიძლება ყოველ-დღე 4—6 საათ. ადრესი: Георгіевская площадь, № 32. (8—8)

ტფილისის ვაჭართა უხუცესი (староста) და მისნი ამხანაგნი სთხოვენ ტფილისელს ვაჭრებს ინებონ და მობრძანდნენ საზოგადო კრებაზედ დასასწრებლად, რომელიც კვირას, 25 ნოემბერს, არის დანიშნული დილის 11 საათზედ ქალაქის საბჭოს დარბაზში.
(1—243—1).

ბ ა ნ ა ლ ი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

ახალი ამბავი

—

*** საიმპერატორო სამხედრო-სამკურნალო აკადემიის კონფერენციას საგანგებო კომისია დაუნიშნავს შესამუშავებლად იმ საკითხისა, თუ რა პირობებითა და წესით უნდა მიღებულ იქმნან აკადემიაში გიმნაზიებსა და სასულიერო სემინარიებში კურს-დამთავრებულნი. იგივე კომისია განიხილავს აგრეთვე მსგავსსავე საკითხს შესახებ იმისა, რომ აკადემიაში მიღებულ იქმნან აგრეთვე კურს დამთავრებულნი ისეთს სასწავლებლებშიაც, რომელნიც სასულიერო სემინარიის შესაფერს განათლების ცენზს იძლევიან.

*** გუშინწინ ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში საღამოს 8 საათზედ სხდომა ჰქონდა ტფილისის სასწავლებელთა გამგე-კომისიას, რომელმაც განიხილა სულ სამი ოთხი საქმე. პირველად კომისიას წარედგინა. მოხსენება ა. ბაბოვისა ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელი, აღნიშნავს რა ზოგიერთ ნაკლულევანებას და საჭიროებას ამ სასწავლებლისას, სთხოვს—1000 მ. იქნა გადადებული ამ საჭიროებათათვისაო, კომისიამ მიიღო ეს წინადადება და გარდასწყვიტა სთხოვოს გამგეობას გადადებულ იქნას ეს ფული. ამავე სხდომაზედ კომისიამ განიხილა საერო განათლების სამინისტროს მოწერილება იმის შესახებ, თუ რომელ ტიპის საშუალო სატეხნიკო სასწავლებლის დაარსება იქმნება უკეთესი ტფილისში. როგორც უკვე გვქონდა მოხსენებული, სასწავლებელთა კომისიამ შარშან განიხილა ეს საკითხი, მოიწონა საერო სამინისტროს მოხელის ანოპოვის პროექტი, შეადგინა მოხსენება ავლაბარში პროგიმნაზიის ნაცვლად ამ ტიპის სატეხნიკო სასწავლებლის დაარსების შესახებ და წარუდგინა ქალაქის გამგეობას. კომისიამ ესევე მოსაზრება გამოსთქვა ამ სხდომაზედაც, ხოლო თუ რამდენი უნდა გაიღოს ფული ქალაქმა აღნიშნულ სასწავლებლის დასაარსებლად, ამაზე სჯა არა ჰქონია, რადგანაც ნაადრევად ჩასთვალა იმ დრომდე, ვიდრე საბოლოოდ არ გადასწყდება ეს საკითხი ქალაქის სასარგებლოდ.

*** ბაქოდგან გვწერენ: აქაურ წარმოების კრიზისი თან-და-თან მწვავდება. ამ გამწვავებას ხელი შეუწყო ისეთმა გარემოებამ, რაც სხვა დროს უპირველეს გამაბედნიერებელ მოვლენად ჩაითვლებოდა. მოგახსენებთ ამას ნავთის იშვიათს შადრევნებზე, რომელთაც ამ ბოლოს დროს ამოხეთქეს: ბიბი-ეიბათში „ბაქოს ნავთის მწარმოებელ ამხანაგობის“ (№ 6) მადანში, იქვე შიბაევის (№ 20) მადანში და საბუნჩაში „კავკასის“ ამხანაგობისაში. პირველ მადნის შადრევანმა 4—12 ამ თვემდე რვა მილიონი ფუთი ნავთი ამოისროლა ... მას აქეთ კი დღე-ღამეში 400.000 ფუთს იძლევა. დანარჩენი ორი შადრევანი ისვრის დღე-ღამეში სულ ცოტა 100,000 ფ. ამ უცაბედად ამოხეთქილმა შადრევნებმა სულ დასცეს ისედაც დაცემული ფასი დაუწმენდელს ნავთზე და ბოლო მოუღო ნავთის მრეწველთა უმრავლესობისათვის ყოველსავე ხეირს მათის საქმისას. ეს არის მიზეზი, რომ დღითი-დღე აუცილებელ თანდათანობით აქაური მადნები გადადიან სხვების ხელში. ამ ჟამად, მაგალითად, „შამსი ასადულაევის“ ფირმას იძენენ ჰოლანდიისა და ბელგიის კაპიტალისტები; ძმათა კრასილნიკოვის მადნები სოფ. რამანაში (საუკეთესო სანავთე ადგილად არის ცნობილი) შეიძინა ამხანაგობამ „ნოვგოროდმა“ და მოლაპარაკება აქვთ კიდევ ერთს ადგილას სხვა ნავთის მწარმოებელთან, რომელიც ამ ცოტა ხნის წინად შეძლებულ მწარმოებელად ითვლებოდა და დღეს-კი „სული კბილით“ უჭირავს. ერთის წლის წინად მას ერთს მილონს აძლევდნენ მადნებში და ხმას არ სცემდა მუშტარს, ახლა კი 250,000 მანეთზე ტკბილათ ელაპარაკება. ასეთი მაგალითები ბევრია.

*** ხონიდგან გვწერენ, რომ იქაურ საოსტატო სემინარიის მდგომარეობის შესასწავლად და მოსწავლეთა შორის წესიერების აღსადგენად კავკასიის ოლქის მზრუნველისაგან გაგზავნილს ბ-ნს ლოპატინსკის ჩინებულად შეუსრულებია მინდობილება, ყველაფერი დროსა და რიგზე გამოუძიებია, დაუყოვნებლივ მიუღია შესაფერი ღონისძიებანი და მოსწავლენიც სრულიად დაუწყნარებია. ამ ჟამად სწავლა წესიერად მიდის, ჩვენის კორრესპონდენტის სიტყვით.

*** ქ. შ. წ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას გორის მაზრის სოფ. ახალქალაქის მცხოვრებთ სთხოვეს ამ სოფელში გამართოს სახალხო წიგნთ-საცავი და სამკითხველო. მცხოვრებნი გამგეობას თავის მხრით ჰპირდებიან სამკითხველოს გახსნა-შენახვაში დახმარებას.

*** „კავკაზს“ შეუტყვია, რომ „ცნობის ფურცლის“ გამომცემელს ალ. ჯაბადარს სათანადო მთავრობისათვის უთხოვნია დაამტკიცონ იგი ოთხის თვით დროებით რედაქტორად ნაცვლად ალ. ჭყონიასი, რომელმაც მიატოვა ეს თანამდებობა. ბ-ნს ჯაბადარსვე უთხოვნია ნება დართონ გამოსცეს ვ. ნ. ჩერქეზიშვილის და ა. ი. ნიკიტინის რედაქტორობით რუსული ყოველ დღიური გაზეთი სახელწოდებით „Закавказскій Курьеръ“ (ამიერ-კავკასიის შიკრიკი). ჩვეულებრივ სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთების პროგრამით, ხოლო ნახატებიანი დამატებით. ხელმოსაწერი ფასი 8 მანეთი იქმნება წელიწადში.

*** კვირას, ნოემბრის 25-ს, დილის 11 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდება წლიური კრება ტფილისის ვაჭართა საზოგადოებისა, რომელმაც უნდა განიხილოს შემდეგი საგნები: 1) რა მონაწილეობა უნდა მიიღოს ვაჭართა საზოგადოებამ ობოლთა სასამართლოს შენახვაში; 2) არჩევა ვაჭართა წოდებისაგან ობოლთა სასამართლოსათვის ორის წევრისა და ამდენივე კანდიდატისა სამის წლის ვადით (1902 წლიდგან); 3) არჩევა ორის დამფასებლისა ამდენივე კანდიდატ-თურთ, რომელთაც, თანახმად ქალაქის გამგეობის წინადადებისა, მონაწილეობა უნდა მიიღონ ხოლმე იმ კომისიაში, რომელიც აფასებს შენობებს იმ მესაკუთრეებისას, რომელთაც სურთ აიღონ სააქციზო გირავნობის მოწმობები; 4) მოხსენება კომისრისა, რომელმაც შეიმუშავა წესი როგორ უნდა იდღესასწაულონ აწინდელის ვაჭრების უხუცესის (სტაროსტის) ე. ა. დავიდოვის 25 წლის მოღვაწეობა საზოგადოებრივ სამსახურის ასპარეზზე.

*** ხუთშაბათს, 22 ნოემბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა, ქ-ნ ტასო აბაშიძის საბენეფისოდ, წარმოადგინა „სანატრელი მეუღლე“ და „პარიჟელი ბიჭი“. ორივე პიესამ, საზოგადოდ, კარგა ჩაიარა, არტისტები კარგად მომზადებულიყვნენ, თუმცა არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ, რომ ისეთის პიესების წარმოსადგენად, როგორიც „სანატრელი მეუღლეა“, ჩვენ დასს ძალა არ შესწევს. მსახიობნი ნაკლებად აგონებდნენ მაყურებლებს პარიჟელ მაღალ საზოგადოების ქალებსა და კაცებს. მეტად მხიარულად ჩაიარა „პარიჟელმა ბიჭმა“. ტასო აბაშიძემ საუცხოოდ შეასრულა პარიჟელ ბიჭის როლი. ხალხი წარმოდგენას ბლომად დაესწრო. მობენეფისეს მრავალი საჩუქარი მიართვეს.

*** სახალხო წარმოდგენათა და კითხვათა სადგომში დღეს, 24 ნოემბერს, ქართულის სცენის მოყვარენი წარმოადგენენ კომედიას „დაქცეულ ოჯახს“.

*** უკანასკნელს სხდომაზედ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობამ გარდასწყვიტა გაუგზავნოს 100 ცალი ქართული საწერი რვეული და 30 ცალი „დედა-ენისა“ ახალციხის მაზრის სოფელ დვარში მღვდელ ილ. შუბლაძის მიერ დაარსებულ წერა-კითხვის სკოლას.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი მ. რ. ზავადსკი და ოლქის ინსპექტორი სლოვინსკი, როგორც „Тифл. Лист.“-ს გაუგონია, ამ დღეებში ტფილისიდგან მიემგზავრებიან სასწავლებლების სარევიზიოდ.

*** ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ ქალაქის სკოლებში გალობის მეორე მასწავლებლად დანიშნა ბ-ნი ნატრაძე.

*** ტფილისის მეოთხე ნაწილის პოლიციის ბოქაულმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას რაც შეიძლება დააჩქაროს სოლოლაკის ქუჩის მოკირწყლვა, რადგანაც მაზედ ეტლების მოძრაობა შეტად გასაჭირიაო.

*** ამ თვის 21-ს დაიხურა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. რამდენადაც ჯერ-ჯერობით გამოირკვა, ზარალი 25—30 ათას მანათამდე ადის. იმედი აქვთ, რომ ამ ზარალს ხუთასი თუმნით შეამცირებენ, რადგანაც, გამგეთა აზრით, ამ ფასად უნდა გაიყიდოს ფიცრები ⁄ სხვა საშენი მასალა გამოფენის ზოგიერთ პავილიონებისა.

*** მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებულის კანცელარიასთან განუზრახავთ დაარსონ სასოფლო მეურნეობის მუზეუმი.

*** ტფილისის მოქალაქეთა (მეშჩანთა) უხუცესის თანამდებობის აღმასრულებელი ედიგაროვი, ტფილისის გუბერნატორის ბრძანებით და თანახმად სისხ. სამ. დებ. მე-1100 მუხლისა, გადაყენებულ იქმნა თანამდებობიდგან და სრულიად სამსახურიდგანაც. მიზეზი, როგორც ყველამ იცის, ის არის, რომ ედიგაროვს ბრალად ედება დანაშაულნი, აღნიშნულნი სისხლის სამართლის დებულების № 338, 354, 359, 410 და 152 სტატიებში.

ედიგაროვის მაგიერ დროებით დაინიშნა, გუბერნატორის განკარგულებითვე, ტფილისის სასამართლოს წევრი და მოქალაქეთა დეპუტატი ფ. ი. ასიტოვი.

*** ნოემბრის 22-ს აღტაგლის სადგურთან ვაგონებს ქვეშ მოჰყოლია კონდუქტორი მაქსიმ მუწაევი, რომელიც დაშავებულა და გაუგზავნიათ ტბილისის საავადმყოფოში.

*** ნოემბრის 21-ს ტბილისის სადგურის შუაგულ საწყობის კანტორის იატაკს ცეცხლი წაჰკიდებია, მაგრამ მალე ჩაუქრიათ.

*** ნოემბრის 22-ს ახი-ქაბულის სადგურს ახლო მე-688 ვერსზე, მატარებელს № 3 მოუკლავს ბაგაჟის კონდუქტორი რომანჩუკი.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝ.

19 ნოემბერი.

—

კრებას თავმჯდომარეობდა ქალაქის მოურავი დ. ა. ლორთქიფანიძე. წინა სხდომაზედ საბჭომ აირჩია კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა პროექტი ეკლარის ქვის ეკსპლოატაციისა. უნდა მოვიხსენოთ რომ 10—12 წლის წინად, ასათიანის მოურაობის დროს, ეკლარის ქვის მადანი ქალაქს აძლევდა 500 მან. შემოსავალს. მას შემდეგ ამ შემოსავალმა თან-და-თან იმატა და ამ ჟამად იგი 2,700 მანეთამდეა ასული. აქამომდე ეს მადანი იჯარით იყო გაცემული და მოიჯარადრენი მამულს მეტად აოხრებდნენ: აუარებელი ქვა გაჰქონდათ კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხეში, ბაიუმიდგან დაწყებული ბაქომდე. ამ აოხრებამ უფრო იჩინა თავი ბ-ნ ონანოვის მოიჯარადრობის დროს, და რომ კიდევ ამის ხელში დარჩენილიყო საიჯარო მამული, ეჭვი არ არის, სრულიად განადგურდებოდა, რადგანაც ბ-ნ ონანოვს რკინის გზის გაყვანის განზრახვა ჰქონდა ქვის მაღაროდან. ამას გარდა თვით ქუთაისის მცხოვრებლებს, ე. ი. მამულის პატრონებს, ეს ქვა მეტად ძვირად უჯდებოდათ, რადგანაც მოიჯარადრენი წლითი-წლობით ფასს უმატებდნენ.

კომისიის მიერ შემუშავებულ მოხსენებიდგანა სჩანდა, რომ ქვის იჯარით გაცემა ქალაქისათვის საზარალოა და ურჩევდა საბჭოს თვით ქალაქს ეწარმოებინა ამ მადნის მუშაობა.

კომისიის მოხსენებამ დიდი გამოიწვია [illegible] ტაციებდა, რომ ქალაქი ვერ იშ[illegible] ნის მცირე სასყიდლიან ისეთს კა[illegible] რომელსაც ეს მძიმე საქმე მიენდ[illegible] ბოდეს და სარგებლიანად წარმო[illegible] ბა შეეძლოსო. თუ-კი ისეთის [illegible] ცის შოვნა გაგვიჭირდა, რომელს[illegible] იჯარადრების კონტროლი შესძ[illegible] ბოდა, ისეთს სად მოვძებნით, რ[illegible] ერთი ათად რთულს საქმეს გა[illegible] ღვესო. ამასვე მიემხრო ხმოს[illegible] ვარდან ჭილაძე და ურჩევდა საბჭ[illegible] რომ ეკლარის ქვის მადანი ი[illegible] იჯარით გაეცათ.

წინააღმდეგ ამისა თავად კირი[illegible] ლორთქიფანიძემ ვრცელი სიტყვ[illegible] დაამტკიცა, რამდენად ხელ-საყ[illegible] ლია, რომ ასეთი საქმეები თ[illegible] ქალაქმა აწარმოვოს. ამ ჟამად ხ[illegible] ნებულ მადნიდგან 2,700 მანეთ[illegible] მეტი არ შემოდის, მაგრამ, თუ [illegible] ლაქი დაიწყებს წარმოებას, მა[illegible] შემოსავალი ერთი სამადა და ო[illegible] ხად იმატებს და თან მცხოვრებთ[illegible] ქვის შეძენა გაუადვილდებათო.

შემდეგ ამ საგანს კენჭი უყარ[illegible] და 25 ხმის უმეტესობით ერთ[illegible] წინააღმდეგ, კომისიის აზრი მიღ[illegible] ბულ იქმნა.

შემდეგ გამგეობის წევრმა ბ-ნ[illegible] გველესიანმა წაიკითხა მოკლე ის[illegible] რია საასენიზაციო ურმების მდგ[illegible] მარეობისა. როგორც მოხსენებ[illegible] განა სჩანს, როცა ეს ურმები [illegible] ლაქის ხელში ყოფილა და [illegible] ლაქის დაწმენდა გამგეობას ჰქონ[illegible] ბია ნაკისრი, ყოველთვის უზარ[illegible] ნია. ხოლო იჯარით ამღებს მოგ[illegible] ბა დარჩენია. 1893 წლიდგან [illegible] მომდე ქალაქს რამდენისამე ათ[illegible] მანეთის ზარალი მოსვლია. ამ[illegible] გამო გამგეობა ურჩევდა საბჭ[illegible] რომ ეს საქმე ისევ იჯარით გ[illegible] ცათ, მაგრამ უმეტესობა არ და[illegible] თანხმა და ხმის უმეტესობით გ[illegible] დასწყვიტეს ეს საქმეც გამგეობ[illegible] ხელში დარჩეს საწარმოებლად.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

—

ᲡᲐᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ.

მ. ვ. ხელთუფლიშვილის „Вступленіе Грузіи въ составъ Россійской Имперіи“. Кутаисъ, 1901 г.

ბ-ნის ხელთუფლიშვილის ზემოდ მოყვანილი თხზულება პირველად დაბეჭდილი იყო 1891 წელს „Юридическій Вѣстникъ“-ში და ქართველმა ინტელიგენციამ მაშინ დიდის სიამოვნებით წაიკითხა ეს ნაწარმოები. ასეთი ამბავი საკვირველიც არ უნდა ყოფილიყო. რაც-კი რამ ამ თხზულების აღბეჭვდამდე, დაწერილიყო რუსულად და რუსთ მიერ საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ, ყველას ერთი საზოგადო ნაკლი ჰქონდა,—ყველა დაწერილი წინად-აკვიატებულ მთავარ აზრს მისდევდა, ცალ კერძო გზას ადგა და ობიექტიურად საგანს არ იკვლევდა. დუბროვინი, ბერჟე და სხვანი, იქმნება, ღრმა მეცნიერნიც იყვნენ, მაგრამ იმათ ნაწერებს მაინც სამეცნიერო სასწორი აკლდა და მიკერძოება ემჩნეოდა. ვინ არ იცის, თუ რა დიდი შრომა და ხარჯი გასწია ერეკლე მეფემ ჯარის მოსაწყობად, მაგრამ ბერჟეს რომ ჰკითხოთ, ზოგი ქართველი ჯარის კაცი შინდის ჯოხით იყო შეიარაღებული და ისე ომობდაო. გარდა ამისა, არც ერთს რუსის მწერალს აზრადაც არ მოსვლია, რომ საქართველოს შეერთების საქმე სპეციალურად იურიდიულ მხრით განეხილა და განერკვია.

პირველად ამ გზას დაადგა მიხეილ ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილი და სრულიად ახალი ნათელი მოჰფინა საქართველოს შეერთების საქმეს. იგი როდი დასჯერდა მარტო პოლიტიკურს მოთხრობას—ეს ხომ თელილი გზაა,—აიღო და უმთავრესი ყურადღება საერთაშორისო სამართალს მიაქცია და ასეთის საქართლის ხაზი და ლარი გაავლო თავისს საკვლევ საგანს. აი, აქ არის უმთავრესი მიზეზი, რომ იმისმა ნაწარმოებმა ასეთი მძლავრი შთაბეჭდილება იქონია ქართველ მკითხველზედ. ყველას მოწყენილი და მობეზრებული ჰქონდა შაბლონური ისტორიული მოთხრობა საქართველოს შეერთებისა. ახლა საჭირო იყო ახალი მეთოდი, ახალი თვალთა ხილვის ისარი და აი სწორედ ამის ალღო აიღო ახალგაზდა მკვლევარმა და ერთთავად მკითხველის გულიც მოიგო. ასეთი ბედი ჰქონია ყოველ ცოცხალს და ახალს აზრს!..

ზოგი ჩვენი ისტორიკოსი რუსეთისა და საქართველოს ურთიერთს დამოკიდებულებას უძველესს დროიდგან იწყებს,—იმ დროიდგან, როცა სლავიანთა ერი ახლად გამოვიდა ისტორიულ ასპარეზზედ. მაგრამ ეს შეცდომაა. თითო-ოროლა „მოყვრობის“ ამბავი სრულიადაც არ ამტკიცებს, რომ საქართველოს პოლიტიკური დამოკიდებულება ჰქონდა სლავიანებთან და კერძოდ რუსებთან. ბიზანტიის დამხობამდე საქართველოს მიზეზი და საბაბი არ ჰქონდა, რუსეთს დაახლოვებოდა და ამ დამხობის შემდეგაც კარგა დრომ განვლო, ვიდრე ჩვენი ქვეყანა რუსეთისკენ ცქერას დაიწყებდა. როცა ბიზანტია დაემხო (1453 წ.), ამის შემდეგ ამაღლდა „მოსკოვი“, რომელიც მართლ-მადიდებლობის მფარველი შეიქმნა. სინამდე-კი რუსეთი, რომელიც „удѣльная система“-ს წყალობით, თითონ უძლურს პოლიტიკურს სხეულს წარმოადგენდა, ვერვის მფარველობას ვერ გაუწევდა.

ჩვენი ავტორი ამბობს, რომ რუსეთის მფარველობა პირველად კახეთის მეფემ ალექსანდრე მეორემ ითხოვა 1586 წელს, მაგრამ ამ მფარველობას მეფე ერეკლე მეორემდე არავითარი ნამდვილი ფაქტიური ძალა და მნიშვნელობა არა ჰქონიაო. ნამდვილსაც ამბობს. ისტორიულ საბუთებიდგან სჩანს, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ელჩების გზავნა და მიწერ-მოწერა ხშირი იყო, მაგრამ კი არა გამოდიოდა-რა. საქართველოს მეფენი და მთავარნი მარჩილებასა და მონობას უცხადებდნენ რუსეთის მპყრობელს, თითქმის ფეხებ-ქვეშაც ეგებოდნენ,—მფარველობა გაგვიწიეო, მაგრამ იმისგან მარტო ცალიერი ნუგეში მოსდიოდათ და სხვა არაფერი. რუსეთს იმ დროს საქართველოსთვის არ ეცალა და არც ძალა და ღონე შესწევდა, რომ სპარსეთსა და ოსმალეთს შებმოდა.

პეტრე დიდის და იმპერატრიცა ეკატირინეს დროს რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობა სრულიად შეიცვალა. მაშინ რუსეთი ინდოეთსაც-კი ხელს აწვდენდა და ვრცელს პოლიტიკურს ჰორიზონტს თვალს არ აშორებდა. საქართველო ძველადვე ხიდი იყო ევროპასა და აზიას შორის და, რასაკვირველია, რუსეთის პოლიტიკოსებმა დიდი ყურადღება მიაქციეს კავკასიონს, რომელიც მეტად საჭირო იყო იმათ საპოლიტიკო გეგმის შესასრულებლად. პოტემკინმა ყოველივე ღ[illegible] ნის-ძიება იხმარა, რომ ერეკლე მ[illegible] ფეს რუსეთის მფარველობა და [illegible] ხელ-ქვეშ ყოფნა აღიარებინა [illegible] კიდეც მიაღწია წადილს. 178[illegible] წლის ხელშეკრულობა, რომლითა[illegible] საქართველომ უარჰყო სახელმწ[illegible] ფებრივი უზენაესი თვითება, უფ[illegible] პოტემკინის ხელთა ქმნილება ი[illegible] ვიდრე ერეკლე მეფისა. ჩვენი ავტ[illegible] რი აღნიშნავს იმ სიხარულს, რ[illegible] მელსაც იმპერატრიცა ეკატირინ[illegible] მიეცა, როცა ხელ-შეკრულება [illegible] იდვა რუსეთსა და საქართველ[illegible] შორის,—შენ ჩემი გულითადი [illegible] გობარი ხარო, ასე სწერდა იმპერ[illegible] ტრიცა პოტემკინს... მე ევრო[illegible] შურს მშვიდად ვუცქერი; რაც [illegible] და იყბედონ, სულ ერთია, ჩვენ[illegible] საქმეს ვაკეთებთო...

ავტორი ამბობს, ერეკლე მეფ[illegible] აზრად ჰქონდა თავისი სამეფო [illegible] როპიულ წესზედ მოეწყო, ევრ[illegible] პიული მოქალაქეობა და განათ[illegible] ბა დაემყარებინა და ამ მიზ[illegible] რუსეთს შეეკრა 1783 წლის [illegible] რობითაო. ავტორის სიტყვით, [illegible] თომ ერეკლე მეფე დიდად მტკ[illegible] ხასიათის კაცი იყო და ამ მხრ[illegible] პეტრე დიდს მიაგავდა. მაგრამ, [illegible] წუხაროდ, ისტორია სხვას ღ[illegible] დებს და ჩვენთა „გმირთა გმირ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთს გარდაწყვეტილებას უფრო იმ მოსაზრებით დაადგნენ, რომ, თუ ვინიცობაა, რაიმე გადამდები სენი გავრცელდა ქუთაისში, მოიჯარადრე ისე ერთგულად ვერ მოეკიდება საქმეს, როგორც თვითონ გამგეობა. ზარალის ასაცილებლად-კი ისაა საჭირო, რომ გამგეობამ ურმების საქმე ისე მოაწყოს, რომ კერძო კაცებმა კონკურენცია ვერ გაუწიონო.

შემდეგ საბჭოს მოჰხსენდა თხოვნა აქაურის ვაჭრის ს. ბოკერიასი, რომელიც თხოულობს, რომ ნება არ მიეცეს პურის მცხობელ ამხანაგობას ფურნის გამართვისა იმის სახლის პირდაპირ, საქალაქო შენობაში, ქუჩის მეორე მხარეზე, რადგანაც ფურნის კვამლი ვითომ მისს სახლს დაზიანებს და მდგმურებს მოაკლებს.

გამგეობას ჯერ ნება-ყოფლობით მორიგება სდომებია პურის მცხობელ ამხანაგობის წარმომადგენელისა და ბოკერიასი, მაგრამ, რაკი შერიგება აღარ მომხდარა, ქალაქის ინჟენერისათვის მიუნდვია გამოსაკვლევად, თუ რამდენად შესაწყნარებელია ბოკურიას თხოვნა. ინჟენერმა ის აზრი წარმოადგინა, რომ ბოკერიას არა ვითარი ზარალი არ მიადგება ფურნისაგან. მართალია, ბოკერიას ზოგიერთი ხმოსანი გამოესარჩლა, მაგრამ საბჭომ ხმის უმეტესობით ბოკერიას თხოვნაზედ უარი უთხრა.

თუ ბ-ნ ბოკერიას საჩივარის მეტი სხვა დაბრკოლება არ გადაეღობა პურის მცხობელ ამხანაგობას, ქუთაისის მცხოვრებნი უთუოდ გადურჩებით აქაურს მეპურეებს და რიგიან პურის ჭამას მოვესწრებით.

დაბალ სოფელი

ჯავახეთი. ამ ორის კვირის წინად ერთმა მენახირე ქურთმა თოფით მოჰკლა სოფ. ლეპისის მცხოვრები ჯინ-ბაირამა. ეს ჯინ-ბაირამა განთქმული და მასთან მოხერხებული ქურდი გახლდათ ჩვენს მხარეში. მიზეზი მკვლელობისა, როგორც ამბობენ, სულ უბრალოა: ამას წინედ ქურთი (და საბრალო ჯინ-ბაირამა სოფ. ბეზირხანში წასულან საქურდლად. შესულან ერთს ოჯახში, რასაც-კი მოჰრევიან, წამოუღიათ და ჯინ-ბაირამას სახლში დაუმალნიათ. ერთი-ორის დღის შემდგომ შეუტყვია პატრონს ქურდების ვინაობა და ლეპისისკენ გამგზავრებულა თავისს დაკარგულ ნივთების წამოსაღებად. ჯინ-ბაირამას გაუგია, რომ საქმე ცუდად არისო, ამდგარა, აუღია ბოღჩით ნაპარავი ნივთები, მისულა ქურდ ამხანაგის ბანთანა და ბანში ჩაგდებას უპირებდა; ამ დროს ქურთს გაუშლია თოფი და იქვე-კი გაუგორებია თქვენი ქურდობაში ნაქები ბაირამა. ეს ამბავი იქვე სოფლის სასამართლოს კარებთან მოხდა. საყურადღებოა ვიცოდეთ, ნუ-თუ მამასახლისი ვერა ტყობულობს, რომ ლეპისში დღე არ გავა, ნაპარავი ხარი, ძროხა, ან ცხენი არ მოვიდეს? ნუ-თუ არ იცის, რომ აქ ქურდებისა მთელი პარტიაა?

ამ წერილს ვსწერდი, რომ ხმა გაისმა, ერთს ქურთს კიდევ თოფით დაუჭრია სოფ. ნიალის მცხოვრებიო. ამ შემოდგომაზედ ეს ოთხი მკვლელობაა. ჩვენ აქ, რასაკვირველია, დაჭრილთა რიცხვსა და ქალის მოტაცებას არ ვეხებით, მაგრამ ან რა არის ამ თავ-მინებებულს საზოგადოებაში გასაკვირველი. მხოლოდ ეს მიკვირს: თითქოს თოფები „ყავაღლი, ბერდანკა და მაგაზინკა“ აკრძალულია მთავრობისაგან და მკვლელობა-კი ამ თოფებითა ხდება ხშირად!..

არ ეგონოს მკითხველს, ცუდი საქმის მეტი კარგი არა კეთდებოდეს-რა აქეთ. ამ მხარეში, რომელიც, ვინ იცის, რამდენი წელი ოსმალების უღელ ქვეშ იყო, თვით ჩვენი გამაჰმადიანებული მოძმენიცკი კეთილს არ აყრიან ჩვენს ძველს ნაშთებსა (სოფლებზედ არას ვიტყვით, რადგანაც მთელი გაზეთიც ვერ დაიტევს). ამ ბოლოს დროს დიდი ყურადღება მიაქციეს ძველის ეკკლესიების სუფთადა და მთლად შენახვას. აღუკრძალეს სომხებს თავიანთ ეკკლესიებად გადაკეთება, მაჰმადიანებს მეჩეთებათა და ეკკლესიებში პურისა, ბზისა და თივის ჩაყრა, როგორც აქნობამდისა შვრებოდნენ ხოლმე. ყოველი ამისი მიზეზი-კი გახლავთ ყველასაგან პატივცემული ადგილობრივი ბლაღ. დეკანოზი მამა დიმიტრი ხახუტაშვილი. აგერ ათი წელიწადია, რაც აქ მსახურობს, სულ მუდამ კრიჭაში უდგია ძველი ნაშთების ხელ შემხებლებს. არა მგონია, სადმე ქართლში იყოს ისე სუფთად შენახული ძველი ეკკლესიები, როგორადაც აქ ჯავახეთშია ამ ბოლოს დროს. ვინ არის ამის მიზეზი? რასაკვირველია, მამა დიმიტრი. გარდა ამისა, მისის ჩაგონებით (რასაკვირველია, ადგილობრივ მღვდლებსაც შრომა მიუძღვით) ამ ცოტა ხანში აქეთ შვიდი-რვა ეკკლესია აშენდა და გაახლდა: ტობისა, ნანდრია-წმიდა, ერკოტისა, დადეშისა და სხვ. და აი ამ კვირაშიაც აქეთ მ. დეკანოზმა, ადგილობრივის მღვდლების თანამწირველობით, სამი ეკკლესია აკურთხა: ტოლოშისა (26 ოქტომბერს), თოკისა (29 ოქტ.) და ჭიხარულისა (30 ოქტ.).

ტოლოშის ეკკლესია წელს შეაკეთეს შიგნით-გარედგან, დააგეს ცემენტის იატაკი და საკურთხეველში ხისა. დიდი გულშემატკივრობა გამოიჩინა ტოლოშის სამრევლოსათვის ახალგაზრდა მღვდელმა მ. სერგეი გელაშვილმა. სულ 7 თვეა, რაც მრევლში გამწესდა და ამ ხნის განმავლობაში გადააკეთებინა ქუნცის ეკკლესია და გაამშვენიერა ტოლოშისა.

გაზაფხულზედ როკეთში აპირებს ახალის ეკკლესიის აშენებასა, რისთვისაც ფულს უკვე აგროვებს. სოფ. თოკშიაც ახალი ეკკლესია აშენდა. იმედია, ამის შემდგომ აქაურს ქართველებს სამშობლო ენაზედ ღვთის ლოცვა-ღაღადება აღარ მოაკლდებათ. აქ სცხოვრობს რამდენიმე ქართველი მართლმადიდებელი და მომეტებული-კი ქართველი მაჰმადიანი. ადგილობრივი მ. მ. სოლომონ უსტიაშვილიც ახალს ეკკლესიას უშენებს თავისს სამრევლოს. ჭიხარულის ეკკლესია ამ ორის წლის განმავლობაში აშენდა; სიღარიბისა გამო მრევლმა მცირე მოაწილეობა მიიღო, მომეტებული ფული, რაც-კი ეკკლესიას დასჭირდებოდა, ამ მრევლის მღვდელმა, ამავე სოფლის შვილმა მ. გიორგი ბერიძემ შესწირა. დიდი სიკეთე დასდვა მოხუცმა მღვდელმა თავისს მეზობლებსა და ისინიც მისს უხვს შეწირულებას არ დაივიწყებენ. კურთხევის დროს მ. დეკანოზმა დ. ხახუტაშვილმა ამ ღირს შესანიშნავის დღისათვის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა, აუხსნა ხალხს, თუ რასა ჰნიშნავს ეკკლესიის სიმშვენიერე, მეტადრე იმ გარემოებაში, როგორშიც სამშობლოს მოშორებულნი ჯავახელნი არიან და სხ.

კურთხევის შემდგომ მოწვეულთათვის და სამღვდელოებისათვის სოფ. ტოლოშში გაემართა სადილი, რომელზედაც მღ. სერგეი გელაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა და ხალხს დღევანდელი დღესასწაული აუხსნა. შემდეგ მასწავლებელმა გიგო შატბერაშვილმა აუხსნა ხალხს სწავლა-განათლების მნიშვნელობა. სასიხარულოა სწორედ, რომ ამ ბოლოს დროს აქეთ ახალგაზრდა მშრომელ მღვდლების რიცხვმა იმატა.

აქეთ ამ ჟამად კარგი დარები სდგას. მართალია, ღამე ძრიელა ყინავს, მაგრამ თოვლი ჯერ-ჯერობით აღარ მოდის, დარჩენილს კალოებს ნელნელა ლეწავენ.

ქართლელი ჯავახეთში.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

20 ნოემბერი.

ლონდონი. „Times“-ს ატყობინებენ პრეტორიიდგან: „სამხედრო მოქმედება კაპის ახალშენში ეხლა დასავლეთისაკენ არის. ბურები, რომელნიც რამდენიმე თვე ახალშენის შუა ადგილს აოხრებდნენ, განდევნილ იქმნენ დასავლეთისაკენ, რკინის გზის იქით, სადაც ისინი უფრო ადვილად დაემალებიან ინგლისელებს. ინგლისელების სამხედრო მოქმედება შეფერხებულია ნიადაგის თვისებით, წყლის უქონლობითა და რკინის გზის სიშორით. ეხლა ბურები ჩრდილოეთისაკენ გაჩნდნენ და მათის დაჭერის სიძნელე ცხადია. ბურების რაზმი 13-ია და, მიუხედავათ იმისა, რომ ყოველგვარი ზომებია მიღებული, ბურები მაინც მიიმალნენ. ბურები სულ 130 (?) კაცია, ამათ რიცხვში ბევრი აჯანყებული კაპელია.“

კონსტანტინეპოლი. ინგლისის საელჩომ შეატყობინა პორტას, რომ ახლო ხანებში დარდანელზე გაატარებენ ოდესაში ნაყიდ ცხენებს სამხრეთ-აფრიკაში გასაგზავნადაო.

ბერლინი. გაზეთების მიერ გავრცელებული ხმა, ვითომც ლვოვში მყოფი გერმანიის ელჩი სტესსადი წასულიყოს ამქალაქიდგან უკანასკნელ ამბების გამო, სრულებით უსაფუძვლოა; ელჩი ეხლაც აქ არის.

შანჰაი. ქვრივმა იმპერატრიცამ გამოსცა ბრძანება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ტუანის შვილს წაერთვა უფლება ტახტის მემკვიდრეობისაგან; ამავე დროს პრინცი სასახლიდგან განდევნილ იქმნა, მას მიეკუთვნა ეგრედ წოდებულ „თხოვნათა მუხლთამებრ“ (просительные пункты). ამ თხოვნათა მუხლთა შინა მხოლოდ „ვასსალური“ დამოკიდებულება იყო აღნიშნულიო, ამბობს ავტორი, მაგრამ ეგეთი დამოკიდებულება მალე ძირეულად შეიცვალა.

ავტორი დასძენს, რომ შეერთებას თავისი ბრწყინვალე მნიშვნელობა ჰქონდა,—დაქსაქსულ და დანაწილებულ საქართველოს ერთობა მოევლინაო. მართალიც არის, სამშობლოს ერთობა საუკეთესო მამულიშვილთა გულის წადილს შეადგენდა და ამ წადილის შესრულება ვერც ერთმა ქართველმა მეფემ ვერ შესძლო და მხოლოდ რუსეთმა შეასრულა ეს დიად მძიმე საქმე. აღსრულდა ერეკლე მეფის ოცნებაც და ძლევა-მოსილმა რუსეთმა სამცხე - საათაბაგოკ—თუმცა ჯერ არა სრულიად—შეუერთა ჩვენს სამშობლოს.

ნ. ურბნელი.

თუ აკლდა რამე, სწორედ ეგ ხასიათის სიმტკიცე აკლდა... რამდენია ამის დამამტკიცებელი ფაქტი! მართალია, ერეკლეს სიკეთე ეწადა საქართველოსთვის, სურდა კიდეც თავისის სამეფოს „გაევროპიანება“, ასე გასინჯეთ, წესისა და რიგის დასამყარებლად იმ დროის მწერლის ზონენფელდის სახელმძღვანელოც-კი „საპოლიციო უფლება“ გადმოალებინა ქართულადაო, მაგრამ ყოველივე ეს ჯ სხვა ამგვარი ზრუნვა სამშობლოსთვის როდი შექმნილა უმთავრეს მიზეზად „ტრაქტატის“ დადებისა. უმთავრესი მიზეზი სხვა გარემოება იყო. თითონ ავტორი ასახელებს, რომ საქართველოს სამზღვრად გაჩნდა ბატონიშვილი ალექსანდრე ბაქარის ძე, რომელიც რუსეთიდგან მოვიდა და ტახტს შეეცილა ერეკლესაო. არ უნდა დავივიწყოთ პაატას შეთქმულებაც... ერთის სიტყვით, ერეკლე მეფეს საქმეები დაეხლართა და უმეტესად ამ გარემოებამაც აიძულა რუსეთის მფარველობისთვის მიემართა. აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთის პოლიტიკოსებმა მეფის გულის „წმიდათა წმიდასაც“ მიაგნეს — აღუთქვეს, სამცხე-საათაბაგოს მოვიპოვებთ, თუ ხელშეკრულებას დასდებო. მარტო ეს ერთი დაპირებაც საკმაო იყო ასეთის პატრიოტისთვის, როგორიც ერეკლე მეფეა!

ტრაქტატის დადების შემდეგ მთელი მაჰმადიანობა აღსდგა საქართველოზედ. ისეთი გაჭირვება ჩვენს სამშობლოს დიდიხანია არ გამოეცადა. სპარსეთი, ოსმალეთი და ლეკეთი მძვინვარებდნენ. ავტორის სიტყვით, ერეკლე მეფემ თავისს მოსისხლე და მძლავრ მტერს ომარხანს ჯამაგირი დაუნიშნა და ისე შეირიგა, ახალციხის ფაშა სულეიმანს ამანათად ორი თავადი გაუგზავნა. დღითი-დღე მაჰმადიანობა უფრო მეტად ჰღელავდა და საქართველოს დამხობას უქადიდა—რუსეთი რად შემოუშვიო. მაგრამ საქართველო თავისს სიტყვაზედ იდგა და სინიდისიერად ასრულებდა პირობას.

დროთა ვითარება და საქმეთა მდგომარეობა ისე მოეწყო, რომ საქართველო, ნება-უნებურად, მფარველობიდგან შეერთებაზედ უნდა გადასულიყო. სწორედ ეგრეც მოხდა. ეს ამბავი მეტად გრძელია და აქ არც ადგილია, რომ მოგითხროთ. მართალს ამბობს ჩვენი ავტორი, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთება პირდაპირი ლოგიკური შედეგი იყო 1783 წელს დადებულ ხელშეკრულებისა და იმის დამატებას შეადგენდაო.

პავლე იმპერატორს დიდი სურვილი გაეღვიძა, საქართველო შემოერთებინა და გრაფ მუსინ-პუშკინმა ხომ ეს სურვილი გაუძლიერა. ავტორი ამბობს, მუსინ-პუშკინი პავლე იმპერატორმა 1799 წელს საქართველოში გაგზავნა სხვა-და-სხვა ლიტონთა მადნის აღმოსაჩენად და გრაფმა დაარწმუნა იმპერატორი, თუ რა სასარგებლო იქნებოდა რუსეთისთვის საქართველოს დაპყრობაო. მუსინ-პუშკინი ამტკიცებდა, რომ საქართველო მეტად მდიდარი ქვეყანაა და დიდს სარგებლობას მიგვიტანს, ვაჭრობა აღორძინდება, მთიელებს უფრო ადვილად დავიმორჩილებთ, სპარსეთი და ოსმალეთი მუდამ შიშის ქვეშ გვეყოლებაო და სხ. იმ დროიდგან პავლე იმპერატორს ამ დაპყრობის აზრი არ განუშორებია და კიდეც მსწრაფლად გარდასწყვიტა ბაგრატიონთა სამეფოს საქმეო. გარემოებამაც ხელი შეუწყო. გიორგის მეფის გვარეულობაში ერთი-ერთი მტრობა ჩამოვარდა,—დედა შვილს აღუდგა, შვილი მამას, ძმა ძმასა და შეიქმნა ერთი დაუსრულებელი არეულობა და მიხლა-მოხლა. გიორგი მეფეს ყველანი განუდგნენ და მხოლოდ რუსის ჯარის სარდალი ლაზარევი დარჩა იმის მესაუბრედ და მეთათბირედ.

ჩვენ არ შევეხებით იმ ამბავს,—თუ როგორ მოხდა თვით შეერთება, რას თხოულობდა საქართველოს მეფე და რა მიიღო, ავტორს ეს საგანი მშვენივრად აქვს აწერილი და თუ მკითხველს სურს, იმის ნაწარმოებს მიმართოს.

ქართლ-კახეთის შეერთებას ზედ მოჰყვა იმერეთის სამეფოს და სამთავროთა დაპყრობა. სოლომონ მეფე დიდს უარზედ იყო, მაგრამ ჯარი გაგზავნეს და დამორჩილდა. ავტორის სიტყვით, პავლე ციციანოვმა, ვიდრე იმერეთზედ გაილაშქრებდა, წარგზავნა „ავანგარდი ოქროსი და ვერცხლისა“, როგორც თვით მთავარ სარდალი ამბობდა, და ამ „ავანგარდმა“ კიდეც გამარჯვების გზა გაჰკაფა. იმერეთი შეეერთეს 4 ივლისს 1804 წ. ამაზედ ცოტა აღრე სამეგრელომ მიიღო რუსეთის მფარველობა, გურია და აფხაზეთი 1810 წელს შეუერთდნენ. თვითოეული შეერთება მოხდა ეგრედ წოდებულ „თხოვნათა მუხლთამებრ“ (просительные пункты). ამ თხოვნათა მუხლთა შინა მხოლოდ „ვასსალური“ დამოკიდებულება იყო აღნიშნულიო, ამბობს ავტორი, მაგრამ ეგეთი დამოკიდებულება მალე ძირეულად შეიცვალა.

ავტორი დასძენს, რომ შეერთებას თავისი ბრწყინვალე მნიშვნელობა ჰქონდა,—დაქსაქსულ და დანაწილებულ საქართველოს ერთობა მოევლინაო. მართალიც არის, სამშობლოს ერთობა საუკეთესო მამულიშვილთა გულის წადილს შეადგენდა და ამ წადილის შესრულება ვერც ერთმა ქართველმა მეფემ ვერ შესძლო და მხოლოდ რუსეთმა შეასრულა ეს დიად მძიმე საქმე. აღსრულდა ერეკლე მეფის ოცნებაც და ძლევა-მოსილმა რუსეთმა სამცხე - საათაბაგოკ—თუმცა ჯერ არა სრულიად—შეუერთა ჩვენს სამშობლოს.

ნ. ურბნელი.

ცა ჰერცოგის ხარისხი, მაკრამ არავითარი განსაზღვრული თანამდებობა კი არა აქვს. ბრძანების სიტყვების თანახმად, ამ ზომის მიღების მიზეზი ის ყოფილა, რომ იმ კაცის შვილს, რომელმაც მოკრივეთა მოძრაობა გამოიწვია და გასაჭირში ჩააგდო დინასტია, არ შეუძლია იყვეს ტახტის მემკვიდრედ.

ვენა. 19 ოქტომბერს ვენაზე გაიარა ქვრივმა დედოფალმა მარიამ თეოდორეს ასულმა. რუსეთის ელჩი გრაფი კაპნასტი დაჰხვდა მის უდიდებულესობას გმუნდენში. გიუტელდორფში დედოფალს დაჰხვდნენ სამხედრო აგენტი როოპი და საელჩოს წევრნი. ვენის სადგურზე მატარებლის მოსვლამდე მოვიდა იმპერატორი ფრანც-იოსები ანდრია პირველ წოდებულის ლენტით. მატარებელი რომ მოვიდა, გრაფმა კაპნისტმა შეატყობინა იმპერატორს დედოფლის მოსვლა, იმპერატორი გაემართა ვაგონისაკენ და გულწრფელად მიესალმა დედოფალს. დედოფალს მიართვეს მშვენიერი თაიგული. მატარებელი დაიძრა 7 ს. და 50 წ. შემდეგ იმპერატორი გამოეთხოვა გრაფ კაპნისტს, მიაცილა ჰერცოგინა ტირა კუმბერლანდელი ეტლამდე და ვიშენბრუნში დაბრუნდა.

ვაშინგტონი. რუზველტი კონგრესთან მიწერილ ეპისტოლეში მაკ-კინლეის იხსენიებს და თხოულობს, რომ ანარქისტების წინააღმდეგ სასტიკი კანონები გამოიცეს. პრეზიდენტი ურჩევს განათლებულ სახელმწიფოებს, რომ ანარქისტების ბოროტ-მოქმედებას ისე შეჰხედონ, როგორც საერთა-შორისო უფლების უარყოფას. ეპისტოლე შტატების კეთილ-დღეობას აღნიშნავს, ტრესტების ცუდ მხარესაც აღიარებს, თუმცა-კი ამბობს, რომ ტრესტებს მოძეტებულ ნაწილად უსამართლოდ ჰკიცხავენო. ამ სენის ყოველი ამბავი უნდა გამოაშკარავდეს. ეს უკეთესი წამალი იქმნება მის განსაკურნებლად. მთავრობას ნება უნდა ჰქონდეს, რომ დიდ სამრეწველო საზოგადოებათ თვალ-ყური ადევნოს და კონტროლი გაუწიოს. თითონ ერმა უნდა უგდოს ყური ამ ტრესტებს. აღებ-მიცემობის საქმისთვის ცალკე მინისტრი დაინიშნებაო. ამის მემდეგ ეპისტოლეში ნათქვამია, რომ ამერიკელ მუშების ინტერესების დასაცველად სადამოჟნო ტარიფი უნდა დაწესდეს და უცხოელებს ამერიკაში დასახლების უფლება კანონით შეუმცირდესო. ტარიფის საზოგადო შეცვლა შეუძლებელია: ჩვენი ქვეყნის აღებ-მიცემობა შეირყევაო; უნდა დავაწესოთ, რომ ნება გვქონდეს უცხოეთიდან შემოტანილ საქონელს ხელ-მეორედ გამოვართვათ ხოლმე ბაჟი. აღებ-მიცემობის გასაძლიერებლად ახალი ბაზრების შეძენაა საჭირო; ამ საქმისთვის, სადაც კი შესაძლებელი იქნება, სადამოჟნო ტარიფით უნდა ვისარგებლოთ. ამიტომ სხვა სახელმწიფოებს მეგობრულად უნდა მოვექცეთ. ჩვენი სავაჭრო ფლოტის გაძლიერებისათვის უნდა ვიზრუნოთ. სასურველია, რომ ხელ-შეკრულობა ნიკარაგუას არხის შესახებ დამტკიცდეს. ამერიკას გულითა სწადიან, რომ ყველა ერებთან მეგობრულ განწყობილებაში იყვეს. ამერიკის ყველა შტატების პოლიტიკა მონროეს დოქტრინაზეა დაფუძნებული; მაგრამ ჩვენ ქვეყანას არა სწადიან არც ადგილების შეძენა და არც რაიმე უპირატესობის მიღება ამერიკაში. მონროეს დევიზის ძალით ვერც ერთი ჩვენებური სახელმწიფო ვერ გადარჩება სასჯელს, თუ უცხო ქვეყანას ცუდად მოექცა; თუ სხვა სახელმწიფო მოინდომებს ამერიკის რომელისამე რესპუბლიკის დაჭერას, მაშინ კი ამ დევიზის დასაცველად ფლოტი უნდა გავაძლიეროთ, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ამერიკას მარტო თავისს ინტერესებისა და უფლების დაცვა სწადიან და სხვა არაფერი. ჩვენ არ უნდა გვაღონებდეს და გვაწუხებდეს, როცა უცხო სახელმწიფოები ჯარს აძლიერებენო. ჩინეთში ამერიკა ყველასათვის თანასწორობას თხოულობს და „ღია კარების“ პოლიტიკას მისდევს. დასასრულ ეპისტოლეში მოხსენებულია, რომ ამერიკამ გულითადი სამძიმარი გამოუცხადა ინგლისს დედოფალ ვიქტორიას გარდაცვალებისა გამო და გერმანიას—ქვრივ დედოფალის გარდაცვალებისა გამო. სხვა სახელმწიფოებშაც გულ-წრფელი სამძიმარი გამოაცხადეს ამერიკის პრეზიდენტ მაკ-კინლეის გარდაცვალებისა გამო.

21 ნოემბერი.

კონსტანტინეპოლი. ხონთქარმა ბრძანება გამოსცა და დაამტკიცა შეთანხმება ოსმალეთის ბანკთან 600,000 ოსმალურ გირვანქის სესხის შესახებ.

ვაშინგტონი. მიწათ-მოქმედების ბიუროს გამოანგარიშებით, წელს ამერიკაში 9,675,000 ცალი ბამბა მოვა.

ბერლინი. რეიხსტაგში შინაგან საქმეთა მინისტმა პოსადოვსკიმ სადამოჟნო ტარიფის მოკლე ისტორია მოახსენა დეპუტატებს. იგი ამტკიცებდა, რომ ყოველ საქონლისათვის ცალკე სადამოჟნო ტარიფი უნდა დაწესდესო. ხელ-შეკრულობის განხილვის დროს მინისტრი ამტკიცებდა, რომ სოფლის მეურნეობის დასაცველად აუცილებლად საჭიროა მფარველობითი ტარიფის გაძლიერებაო, მაგრამ აგრარიებს აფრთხილებს, მეტის-მეტსაც ნუ მოითხოვთო. ცენტრის დეპუტატი შპაკი ამტკიცებდა აგრეთვე, რომ საშუალო მიწათ-მომქმედებას უსათუოდ უნდა დავეხმაროთ, მაგრამ ჩვენის დასის არც ერთი დეპუტატი არ დასთანხმდება, რომ აუცილებლად საჭირო ბაჟებს თუნდაც ცოტა რამ მოუმატონო. თავისუფალ მოაზრე საერო დასის წევრი რიხტერი უარ-ჰყოფდა სადამოჟნო ტარიფის სარგებლობას და აცხადებდა, რომ სოფლის წვრილ მეურნეთა უმრავლესობისათვის არაფრით სასარგებლო არ არის მფარველობითი ბაჟებიო.

22 ნოემბერი.

პეკინი. იმ ბრძანებაში, რომლითაც მემკვიდრეს უფლებანი ჩამოერთვა, ნათქვამია: „ტახტის მემკვიდრემ, სცნო რა, რომ უსამართლობა იქნებოდა, მამის დანაშაულობის შემდეგ კიდევ წინანდელი ხარისხი დაიჭიროს, ითხოვა ეს ხარისხი ჩამოერთვითო“. „რეიტერის სააგენტო“-ს კორესპონდენტი ამის გამო შენიშნავს: ამგვარი ფორმა განგებ მოიგონეს, რომ მემკვიდრის თავმოყვარეობა დაიცვან. ამბობენ, მემკვიდრეს მანამდე არ დანიშნავენ, სანამ ქვრივი დედოფალი სახელმწიფოს ხელძღვანელთ არ მოელაპარაკებაო. ქვრივ დედოფლის ბრძანება იმის მომასწავებლად მიაჩნიათ, რომ დედოფალი მომხრეა ჩინეთში ცვლილებათა შემოღებისა. იან-შიკაი პეკინში მოვიდა და ჯერ უნდა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი ინახულოს და მათთან ერთად საქმის ვითარებანი განსაჯოს.

ვენა. საბიუჯეტო კომისიის დღევანდელს კრებაზე მინისტრ-პრეზიდენტი ამტკიცებდა,—მთავრობა მუდამ იმას სცდილობს, რომ პარლამენტის წესიერი მოქმედება არასოდეს არ დაირღვეს. ამის განხორციელება არავითარის მიზეზით არ უნდა გადაიდოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოს არსებითი ინტერესები დაირღვევაო. მთავრობა, უეჭველია, იძულებული იქნება არ დაითხოვოს რეიხსრატი ზაფხულამდე, იმას მტკიცე განზრახვა აქვს შეათანხმოს სხვა-და-სხვა დასის ერთი-მეორის მეტად მოწინააღმდეგე აზრები სახელმწიფოს სასარგებლოდ. მინისტრ-პრეზიდენტმა სთხოვა საბიუჯეტო კომისიას დაამტკიცოს დროებითი ბიუჯეტი, რომელსაც მთავრობა პოლიტიკურ მნიშვნელობას არ აძლევს.

სიმფეროპოლი. მეღვინეობის წარმომადგენელნი სთხოვენ მიწათ-მოქმედების მინისტრს დაიცვას მეღვინეთა მრეწველობა ახლანდელის გამოუთქმელის გაჭირვებისაგან. წარმომადგენელნი თხოულობენ ჯარის-კაცთ არაყის მაგიერ ღვინო ასვან. ფალსიფიკაცია (სიყალბე) მეღვინეობის დამღუპველად იცნო კრებამ. საჭიროა ამის საწინააღმდეგოდ სასტიკი სასჯელი შემოიღონ.

ბათუმი. თევზი საშუალოდ ჰხვდება. ფასები ჩვეულებრივია.

პარიჟი. გუშინდელს კრებაზედ პალატაში დეპუტატმა მასსაბიომ სამხედრო ბუჯეტის გარჩევის დროს განაცხადა, რომ მე მომხრე ვარ ფერრის პოლიტიკისა, ესე იგი გერმანიასთან დაახლოვებისაო.

პრეტორია ბოტა კლიპსტაფელთანაა, კრისის ტბის მახლობლად; თან მას ბურთა მთავრობის წევრნი და 1,800 ბური ახლავან. ტყვე ბურები ამბობენ, რომ ბოტას ჰსურს ბრძოლის განგრძობა, მაგრამ მისი ჯარი უარს ამბობს ამაზეო.

ლონდონი. კაპშტადტიდგან მოსულ ამბის გამო, რომ ფუშეს ბრძანებით ინგლისელი ორი ტყვე—ჯარის კაცი უნდა დაეხვრიტათ, გუშინ ოფიციალური დაპეშა მოვიდა კაპშტადტიდგარ, რომლითაც იუწყებიან, რომ კონაუტის რაზმის ორი ჯარის-კაცი მართლაც მოკლეს, მაგრამ ტყვედ კი არ წაუყვანიათ და არც დაუხვრეტიათო.

პეკინი. გამოცხადდა, რომ იმპერატორის სახლობა გამოვა კაიფინიდგან პირველ დეკემბერს.

ბერლინი. ოფიციალურად გამოცხადებულია სიტყვა კანცლერისა, რომელმაც რიხტერის საპასუხოდ წარმოსთქვა. გრაფმა ბიულოვმა უარ-ჰყო ის აზრი, ვითომ პურზე ბაჟის მომატება და მსოფლიო პოლიტიკა ერთი მეორის წინააღმდეგიაო. მსოფლიო პოლიტიკის მტკიცე საფუძველია შინაური ნაციონალური პოლიტიკის გაძლიერებაო—სთქვა ბიულოვმა. რაც შეეხება სავაჭრო ხელ შეკრულებებსა, გერმანია არ არის ისეთ მდგომარეობაში, რომელიც ძალას ატანდეს ესეთი ხელ შეკრულობა სხვას დაუდოს. უცხოელ გაზეთების კიცხვა ტარიფის გამო ჩემთვის საუკეთესო ქებაა. უცხოელ გაზეთების ზოგიერთ წარმომადგენელთა საშუალებანი, რომლითაც ისინი ლანძღავენ მთავრობას, ყოვლად ულირსი საქციელია, მთავრობას სურვილი აქვს ყველა სახელმწიფოსთან კარგი დამოკიდებულება დაიჭიროს; მხოლოდ არავის კი ნებას არ მისცემს მუქარით შეგვაშინოს.

ბერლინი. რეიხსტაგი განაგრძობს კამათს სადამოჟნო ტარიფის გამო. დეპუტატი გოტჰეიმი (თავისუფალ მოაზრეთა მომხრე) იწუნებს კანონ-პროექტს იმ აზრით, რომ ბაჟის მომატება ხალხის საზრდოს გააძვირებსო. დეპუტატი გამპი (იმპერიის დასის მომხრე) მადლობას სწირავს კანცლერს სასოფლო მეურნეობის მზრუნველობისათვის და არწმუნებს, რომ რუსეთიდგან ჭვავის გამოზიდვა სრულიად დამოკიდებულია გერმანიისაგან. პოლონელი კომეროვსკი განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს იმ საჭიროებას, რომ სამეურნეო მრეწველობისათვის შემოღებულ იქმნას უფრო მეტი ბაჟი, კამათი ხვალაც იქმნება.

ვენა. საბიუჯეტო კომისიამ ხანგრძლივის კამათის შემდეგ მიიღო დროებითი ბიუჯეტი.

24 ნოემბერი.

პეტერბურგი. 22 ნოემბერს, ხელმწიფე მემკვიდრის დაბადებისა და სახელწოდების დღეს, ქალაქი დროშებით იყო მორთული ეკკლესიებში წირვა და პარაკლისი იქმნა გარდახდილი.—22 ნოემბერს გატარინოს სასახლის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა, რომელსაც დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალნი იმპერატრიცანი მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და საიმპერატორო გვარეულობის სხვა წევრნი. 22 ნოემბერს, ხელმწიფე მემკვიდრის დაბადებისა და სახელწოდების დღეს, წირვა გარდახდილ იქმნა მოსკოვსა კაზანსა, კიევსა, ლოდზსა, ტფილისსა და სხვაგან.

მოსკოვი. 22 ნოემბერს მოსკოვის საფარმაცევტო საზოგადოებამ იდღესასწაულა 200 წლის შესრულება თავისუფალ აფთექების არსებობიდგან.

ხარკოვი. მთა-მადნის მწარმოებელთა კრებას ინჟ. ტაბურნომ წარუდგინა მოხსენება სლავიანსკიდამ პეტერბურგამდე პირდაპირ რკინის გზის გაყვანის შესახებ—სიგრძით 1320 ვერსტი დონეცის ქვა-ნახშირის გადასატანად შალტინის ნავთ სადგურებში გზა დაჯდება 59 მილიონი მანეთი, შემოსავალი ექმნება 9 მილიონი. კრებამ დაადგინა მგარი დაუჭიროს პროექტს.

ვარშავა. ვარშავაში მოვიდა გერმანიის სატელეგრაფო [illegible] წარმომადგენელი, [illegible] გამოიკვლიოს ბერლინის, ვარშავის და პეტერბურგის ტელეფონით შეერთების საქმე.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ნობელისა და „გაზეთის“ საზოგადოებას ნავთის ერთი ნაწილი, დაახლოვებით ას ბილიონ ფუთამდე, აქაურს გემის პატრონებს დადააქვთ ასტრახანიდამ ნიჟნამდე $5^1/_2$ კაპეიკად ფუთი. ამ ანგარიშის მიხედვითვე იკისრეს სხვა ადგილებში გადატანაც.

პარიჟი. ხელმწიფე მემკვიდრის სახელწოდეაის დღეს, 22 ნოემბერს რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში გადიხადეს სადღესასწაულო წირვა, რომელსაც დაესწრნენ ელჩი, საელჩოს წევრები და რუსთა კოლონიის წარმომადგენელნი.

სტოკჰოლმი მეფემ ნება მისცა იუსტიციის მინისტრს ანნერმანს სამსახურიდამ გასვლისა; იმის ადგილას დანიშნა მინისტრი რჰოორტფელოდ, ტამმერშლიდი რომლის მაგიერადაც ვესტრინგი იქმნა განწესებული.

ვაშინგტონი. რამდენიმე სენატორმა წინადადება შეიტანა, რომ ანარქისტები უფრო სასტიკად ირჯებოდნენ.

პეკინი ჩინეთის გაზეთები იუწყებიან, იუანშიკაიმ განიძრახა გააძლიეროს პეიანგის ესკადრა; შემოიღოს ახალი ორგანიზაცია ინგლისა-ამერიკის ინსტრუქტორების დახმარებით და შეაერთოს ჩუილისა და შანტუნის პროვინციების ქვეითა კორპუსად, რომელშიაც 100,000 ჯარის კაცი იქმნება უცხოეთის ინსტრუქტორებით თავში.

ბერლინი რეიხსტაგის სხდომა. ვაჭრობის მინისტრი. მელლერი, ამტკიცებს, შემცდარია აზრი, ვითომც კანონ-პროექტით განძრახული ბაჟები ცუდს გავლენას იქონიებდნენ მუშათა ინტერესებზე. დეპუტატები ფოგელი და ნისლები იმავე აზრს ამტკიცებენ. სოციალ-დემოკრატის ბებელის სიტყვამ დიდი მოძრაობა გამოიწვია.

ლონდონი. 22 ნოემბერს გილდჰომში საუზმე იქმნა გამართული უელსის პრინცისა და პრინცესის პატივსაცემად. გრძელს სიტყვაში პრინცმა აღწერა შედეგი ამპერიაში მოგზაურობისა, აღნიშნა მჭიდრო კავშირი, რომელიც მეტროპოლიას ახალშენებთან აერთებს ლორდ-ბერის სადღეგრძელოს წარმოთქმის დროს სალისბიურიმ სთქვა: „ეჭვს გარეშეა, რომ დღეს ბევრი მტერი გვყავს, რომელნიც თავიანთ აზრის გამოთქმას არ ერიდებიან, მაგრამ მეორეს მხრით მათის უმაღლესობის მოგზაურობამ დაამტკიცა, რომ იმედი უნდა ვიქონიოთ დამორებულ მოძმეთა დახმარებისა,—გარემოება, რომელიც ჩვენთვის ბევრად საყურადღებოა, ვიდრე აზრი სხვა ერთა. არც-კი გავიტარებ იმ აზრს, რომ ამ ერებს შეუძლიანთ სვენის მოქმედების მოსაძართლეებად იყვნენ და რომ ჩვენ შეგვიძლიან ვუმტყუნოთ ამ აზრთა გამო ჩვენ ყოფაქცევას. ჩვენთვის ძვირფასია მხოლოდ აზრი ჩვენის მოძმეებისა, შვილებისა, ჩვენის საკუთარის იმპერიის. ჩვენის იმპერიის ყველა კუთხიდგან მოვალეთ საბუთი, იმისა, რომ იმათ აზრი არ შეუცვლიათ დღევანდელს ჩვენს საქმესა და სამართლიანობაზედ.“

ბერლინი. რეიხსტაგი ბებელის შემდეგ ილაპარაკა ფინანსთა მინისტრმა. ორატორი ამტკიცებდა სასტატისტიკო ცნობათა ძალით, რომ ხალხის კეთილ-დღეობა უმჯობესდება და რომ პურის ფასი წინანდელ ბაჟის დროს (5 მარკა) არ გადიდდა. საქსონიის მინისტრმა გეტშმა განაცხადა, რომ საქსონია საბაჟო ტარიფის მომხრეაო.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23-го Ноября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118 რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.